



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (9.629)

3-10 მაისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## საქართველოს საგიზიტო ბარათი



30 აპრილს დედოფლისწყაროს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მათ საინფორმაციო შეხვედრა გამართეს დედოფლისწყაროელებთან და სააგენტოს საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. როგორც გახსოვთ, ქვეყრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კულტურის სამინისტროსა და საზოგადოების ფართო მასების შეფასებით, ეს ფაქტი ხელს შეუწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე. ეს ახალი ნომინაცია ამაღლებს საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით, რომელმაც არა მხოლოდ შემოინახა ქვეყრის ღვინის დაყენების 8000 წლიანი ისტორია, არამედ დღესაც აცოცხლებს მას ქართული სტუმართმოყვარეობის, ადამიანთა ურთიერთობისა და მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღმნიშვნელი ტრადიციებით. ქვეყრის ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდის შეტანა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი ნუსხაში, ხელს შეუწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე. 2011 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ქვეყრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს მიენიჭა უმაღლესი ეროვნული ძეგლის

სტატუსი - განმარტეს სტუმრებმა. მათივე ინიციატივით, უწყების მიერ 2012 წლიდანაა შექმნილი მრავალდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა იუნესკოს ნომინაციაზე წარსადგენი დოკუმენტაცია. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად მიჩნეულია ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა, ადამიანთა ურთიერთობის სივრცეები. საქართველო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციას 2007 წელს მიუერთდა, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, ინვენტარიზაციას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას... როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც ჩვენმა ქვეყანამ უკვე ღიად გამოხატა. ახლა მიმდინარეობს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ორგანოს წარედგინება განსახილველად. ამ კანონმა უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი

ურთიერთობების დარეგულირება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თაობიდან-თაობაზე გადაცემისა და გავრცელების ხელშეწყობა, რითაც მართლაც მდიდარია ჩვენი ქვეყანა. ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ნიმუშების გამოვლენას, აღრიცხვას და მათთვის „ცოცხალი საუნჯის“ სტატუსის მიანიჭებას. ამაში კი საზოგადოების ის ნაწილი უნდა ჩაერთოს, ვინც ამ სფეროს და მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უკვე მიანიჭა გოგებაშვილის „დედაენას“, „ფერხულს“, „ბერიკაობას“, კახურ მრავალუმიერს, მესხური ტენური ყველის დამზადების მეთოდს, ჟურნალის „დილა“ ტრადიციას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ეკუთვნის ხალხს, რადგანაც ადამიანი მისი მატარებელი და მისი შენარჩუნების მთავარი გარანტი. ხოლო არამატერიალური კულტურის ნიმუშების შესწავლა, დაცვა და აღორძინება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მომავალი თაობისთვის კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების შენარჩუნებას, მეორე მხრივ კი სტიმულს აძლევს ქვეყანაში ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი თანამედროვე კულტურის განვითარებას. დედოფლისწყაროში გამართულ შეხვედრაზე მათ წარმოადგინეს პრეზენტაცია, თუ როგორ უნდა შეავსონ განაცხადი კერძო პირებმა, რათა ამა თუ იმ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სახეობები ოფიციალურად აღიარონ და ძეგლის სტატუსი მიანიჭონ, მოგვიანებით კი ისინი იუნესკოს ნუსხაში შეიტანონ. ექსპერტ მაცა თაქთაქიშვილის განმარტებით, მაგალითად ჩურჩხელას, რომლის უნიკალურობასაც ბევრი აღიარებს, ძეგლის სტატუსი დღემდე არ აქვს. ამიტომ, სააგენტოს წარმომადგენლებისთვის გაუგებარია, რატომ არ ხდება კახეთიდან მათთვის ჩურჩხელის დარეგისტრირებაზე განაცხადის შეტანა. დედოფლისწყაროში ჩატარდა ტრენინგი, ჩვენი რეგიონალური შეხვედრების ციკლიდან, რომელსაც ჩვენ ვენევიტ იუნესკოს კონვენციის პოპულარიზაციის

მიზნით და ზოგადად ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე, ამგვარი შეხვედრები ჩვენი სამომავლო თანამშრომლობისთვის მზადდება. გვინდა, ქვეყნის მასშტაბით კვლავაც გამოვავლინოთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობები, რათა ისინი მომავალ თაობებს შემოვუნახოთ. დედოფლისწყაროში კარგად მომზადებული საზოგადოება დაგვხვდა და ძალიან კმაყოფილები დავრჩით, იმედი, მომავალშიც წარმატებულად ვითანამშრომლებთ, — აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ადგილობრივმა წარმომადგენელმა ნელი გობეჯიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და მის სოფლებს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით დიდი პოტენციალი აქვს და ამ კუთხით საზოგადოება უფრო უნდა გააქტიურდეს, ეს შეხვედრაც სწორედ ამას ისახავდა მიზნად. „საინტერესო შეხვედრა გამოვიდა. როდესაც ეს ტრენინგი პირველად მოვისმინე, მაშინვე გამიჩნდა იდეა, რომ განაცხადი შევმეცო ზედაშესტის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მიანიჭების შესახებ. ეს ძალიან რთული საქმეა და დამარების გარეშე ვერ შევძლებ, იმედოვნებ საქართველოს მთავრობას მოვასერებ.“ შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც დადებითად შეაფასა სემინარი და, ზოგადად, არამატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობაზეც ისაუბრა: „ძალიან მიხარია, რომ დღეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე იმ აუდიტორიასთან ვსაუბრობთ, ვისაც ხელუნივება მისი გამოვლენა, მოფრთხილება და თაობებისთვის გადაცემა. ესენი არიან კულტურის მუშაკები და პედაგოგები, მათ უდიდესი პასუხისმგებლობა ენიჭებათ. თუ ყველა გავაცნობიერებთ, რომ ეს არის ის პრობლემა, რომელიც სხვა, თუნდაც სოციალური პრობლემებისგან იმით განსხვავდება, რომ ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ ჩვენი გულგრილობის შედეგად ხვალ და ზეგ აუცილებლად შესამჩნევი გახდება და, შესაძლოა, უკვე გვიანიც იყოს მისი გამოსწორება, ამ შემთხვევაში ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი არც არასოდეს დადგება“-აღნიშნა გამგებელმა. ჩვენი ეროვნულობის საგიზიტო ბარათი სშირად გამხდარა ქართული ცეკვა და სიმღერა. მსოფლიოს გაოცებაც კვლავ ჩვენი კულტურით შეგვიძლია. ამიტომ ჩვენითვის სასიცოცხლოდაა აუცილებელი შევინარჩუნოთ ის, რითიც მართლაც უნიკალურები და გამორჩეულები ვართ.

**ქართული ენა  
შველას ითხოვს!**

83. 4

**ხელოვნების სკოლას  
რეაბილიტაცია  
ჩაუტარდა**

83. 5

**რეაბილიტაციული  
სარეზერვუარი  
არეზერვუარის  
საზონისთვის გააღ  
არის**

83. 2

**„ბავრი ბაქთიდა სოფლის  
ბაქლიარაბისთვის“...**

83. 3







# ხელოვნების სკოლა კრიზისი დაქვია

დედოფლისწყაროში ხელოვნების სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობაც, რაც სკოლის დიდი ხნის ოცნება იყო.

სკოლის ხელმძღვანელი ჩვენთან საუბრისას არ მალავს, რომ ეკონომიურმა კრიზისმა სკოლაში შემოქმედებითი კრიზისიც გამოიწვია. მაინამ კიკილაშვილი იმ წლებს იხსენებს, როცა მოსწავლეებს ინსტრუმენტებზე დაკვრა გაყინული ხელებით უწევდათ, რადგან ამ დრომდე სკოლაში გათბობა არ იყო, შენობა კი ძალზე ნესტიანია, რის გამოც კედლებზე დიდი ხანია ბათქაში ცვივა.

„დაახლოებით, 15-20 წელია, ჩვენს სკოლაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გვექონდა როგორც შემოქმედებითი, ისე ეკონომიური კრიზისი. მანამდე არ გვექონდა საშუალება საკრავების განახლებაზე გვეზრუნა. ელემენტარულად გათბობის პრობლემას ვერ ვაგვარებდით და შესაბამისად, ინსტრუმენტების შეძენაც ვერ მოვახერხებთ. დღეს უკვე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. შეიღება გარე ფასადი, დამონტაჟდა გათბობა, მოწესრიგდა დარბაზი. კიდევ დარჩა გასაკეთებელი, თუმცა ამაზეც დიდ მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ნელ-ნელა შემოქმედებითი კრიზისებსაც გადავლახავთ, რადგან შედარებით უკეთესი პირობები გვექნება სამუშაოდ. ახლახან, კულტურის სამინისტროსგან სამი ვილინი გადმოგვეცა, ასევე სამხატვრო სკოლისთვის გადმოგვეცეს ტუმბოები, მოლბერტები. ისინი ძალიან ძვირადღირებულია და საკუთარი სახსრებით მის შეძენას ვერ მოვახერხებდით,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ სახელოვნებო სკოლის დირექტორმა მაინამ კიკილაშვილმა.

დედოფლისწყაროს გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში აცხადებენ, რომ ამ სკოლაში სარეაბილიტაციო ხარჯებისთვის საჭირო თანხები მომავალი წლის ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული და პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება.

„წელს 49 000 ლარის სამუშაოები ტარდება. მეტალოპლასტმასის კარფანჯრები შეიცვალა. ეს ძალიან ძველი უნიკალური შენობაა, უყურა-

დლებობის შედეგად კედლები ჩამორეცხილი და ცუდ მდგომარეობაში იყო, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, გადაწყვიტეთ მისი რეაბილიტაცია მოგვეხდინა. ბავშვებს სიცივეში უხდებოდათ მეცადინეობა, ამიტომ ცენტრალური გათბობა დამონტაჟდა ყველა ოთახში. საღვარეები და შენობის უკანა მხარე მოწესრიგდა და საძირკველში წყალი აღარ ჩავა, რაც მომავალში დაზიანებების წარმოქმნას თავიდან აგვაცილებს,“ — აცხადებს დედოფლისწყაროს გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი სოლომონ ლორაშვილი.

რამდენიმე დღის წინ სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები პირადად დაათვალიერა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. მისი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება იზრუნებს, რომ მომავალ წელს სკოლის რეაბილიტაცია კვლავ გაგრძელდეს. გარდა ამისა, სულ მალე გამგეობა ხელოვნების სკოლის დარბაზისთვის გახმავანების აპარატურის და ვილინოს შეძენას გეგმავს.

„სცენის იატაკიც კი დაზიანებული იყო, ენერგოეფექტური კარფანჯარა დამონტაჟდა. რემონტის დასრულების შემდეგ სკოლას დავპირდით, რომ ახალი აპარატურა შევიძინოთ. საკრებულოს სხდომაზე საკითხი უკვე განხილული და დამტკიცებულია. ამიტომ უახლოეს პერიოდში სკოლას შევუძენთ ორ ელექტრო პიანოს, ვილინოსა და გახმავანების აპარატურას. ამის შემდეგ სკოლაში უფრო ხარისხიანი ღონისძიებების და კლასიკური მუსიკის საღამოების გამართვა იქნება შესაძლებელი. გულწრფელად მიხარია, რომ გათბობის პრობლემაც გადაიჭრა,“ — აღნიშნავს დედოფლისწყაროს გამგებელი.

როგორც „შირაქსა“ გააკვირა, სახელოვნებო სკოლაში 217 მოსწავლე ირიცხება, მათ შორის სამხატვრო განყოფილებაზე 40, დანარჩენი კი ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფლების სამუსიკო სკოლის ფილიალებშია რეგისტრირებული.

ილია მარტყოფლიშვილი

გვექონდა როგორც შემოქმედებითი, ისე ეკონომიური კრიზისი. მანამდე არ გვექონდა საშუალება საკრავების განახლებაზე გვეზრუნა, ელემენტარულად გათბობის პრობლემას ვერ ვაგვარებდით



# „მისამ უვილი“ - სახელმწიფოს დემოკრატიული პოლიტიკა

მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც დემოკრატიული პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად, რეალურად 2014 წლის 1-ლი ივნისიდან იწყებს ამოქმედებას. საქართველოს ექვს რეგიონში მცხოვრები ყოველი მესამე შვილის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. სამკერელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, კახეთი, იმერეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი ქვეყნის სხვა რეგიონებიდან იმით გამოარჩიეს, რომ აქ აღმართის გარდაცვალების შემთხვევები დაბადების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აჭარბებს.

ჯერ კიდევ თავს იკავებს და მესამე შვილის ყოლას პრინციპულად ენაწინააღმდეგება, გამორიცხული არაა სახელმწიფოს მიერ ამ მცირედი ფულიანი დახმარების შემოღების შემდეგ სერიოზულად დაფიქრდნენ საკუთარ ოჯახებში კიდევ ერთი ნევრის შემატებაზე.

თუ მიეცემთ ნეტა ეგ თანხა? თითო ბავშვზე 55 თუ 65 ლარს იღებს. ირამ ბენაშვილი - დემოკრატიული პრობლემის და საერთოდ რაიმე პრობლემის მოგვარებას რამდენიმე წელი დასჭირდება, საწყის ეტაპზე ჩვილობის პერიოდს ვეულისხმობ, ალბათ დამაკმაყოფილებელია, სემდეგ უკვე დრო და ლარის კურსი აჩვენებს, კარგია, რომ ასეთის ნაცვლად ათასებზე იყოს საუბარი, მაგრამ არა ამდენი და.. ის პერიოდშიც გავიხსენოთ, როცა მესამე შვილი გაჩენაზე დედას არაფერია აძლევენ, ამ პროექტით კი მისცემენ, ხომ არის ერთი ნაბიჯით წინსვლა?

თინათინ გორაშვილი - ეს სახელე თუ ნამდვილად განხორციელდა მიგვსალმები, მე თავად სამი შვილის დედა ვარ და მიმარჩია, რომ ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია, მინდა ყველა დედა იყოს ისევე, სამი შვილის ყოლით გამოწვეული ემოცია, აღინსნული დახმარება ხელს შეუწყობს მათაც, ვისაც ეკონომიური თვალსაზრისის გამო ფეხი უკან უდგებოდა შვილის გაჩენაზე. ორ წლამდე ბავშვის გამოზრდაში რომ სახელმწიფო წახმაროს ოჯახს, მერეც რაღაც სახსრებს გამოაჩენს ღმერთი და მადლიან საქმესაც გაავაკეთებ ყველა ერთად.

ლელა გივიანი - ნავიკითხე ეგ ინფორმაცია, რა თქმა უნდა მომეწონა, თანაც იმ რეგიონებზეა აქტუალური, სადაც სიკვდილიანობა აჭარბებს შობადობა. დიდი საქმე პატაროდან იწყება, სამი ვილის დედაბავშვიდღესი ბედნიერება დამერწმუნეთ, მე რომ ორი შვილი დედა ვიყო, სიმართლე გითხრათ მარტყოფენ ამ დახმარების ანაბარა ბავშვს ვერ გაზრდი, მაგრამ გარკვეული სტიმუ-

სამი რეგიონებში მცხოვრებლებისთვის დახმარების თანხა 200 ლარით განისაზღვრება, ბარში მცხოვრებთათვის - 150 ლარით. კომპენსაციას მშობელი მესამე ბავშვის დაბადებიდან 2 წლის განმავლობაში მიიღებს. დემოკრატიული საკითხებზე სპეციალური სამთავრობო კომისია იმუშავებს, რომელსაც ირაკლი ლარიბაშვილი უხელმძღვანელებს. კომისიამ უნდა შეიმუშაოს დემოკრატიული პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პროგრამა. ამ მიზნით კი, დემოგრაფიული განვითარების ფონდთან და ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ექსპერტთან ითანამშრომლებს. არნიშნული სახელი იმ ოჯახებისთვის, ვინც მესამე შვილის ყოლას გეგმავს, ფრიად სასიარულო ამბავია, რადგან ყოველთვიურად სახელმწიფოსგან იმ მინიმალური დახმარების მიღება, რაც პატარის გამოზრდას საჭიროებს, რა თქმა უნდა კარგი შედეგებია. ხოლო მათთვის, ვინც

გაამართლებს თუ არა ეს პროექტი და მოაგვარებს თუ არა რეალურად ეს სახელე ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემას ამის შესახებ „შირაქს“სხვადასხვა ადამიანს ესაუბრა. ვნახოთ, თუ რას ამბობენ ამ საკითხის ირგვლივ ჩვენი დედები, მომავალი დედები და ისინი, ვინც მესამე შვილის ყოლას უახლოეს მომავალში გეგმავს.

მარინა ჭანჭიჭიანი - მადლობა, რომ ჩემი აზრი გაინტერესებს. რასაკვირველია, მისასალმებელია, ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი მოვარობის მიერ, ხალხის საკეთილდღეოდ. ცოტას კი, ნაადგება დემოგრაფიულ პრობლემას, მაგრამ, თუ ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესდა, საერთოდ ქვეყანაში, ვეჭვობ რომ ესეც წყალში არ ჩაიყაროს, როგორც მინის დასაამუშავებლად გამოყოფილი თანხები. რამდენადაც ვიცი, მინის დამუშავების ნაცვლად ხალხის უმრავლესობამ ის თანხა ან მადლი, არ საკვების შესაძენად უფრო გამოიყენა. მე მაპატიეთ, თუ ვცდები. აქ რამდენადაც ხელმისაწვდომია სახლლების გაგება, თქვენიც იცით, მაგრამ, რაღაც სინამდვილეს მაინც ემსგავსება... ძალიან კარგი! ნაწილი მაინც გამოიყენებს ამ შეღავათს. კანონპროექტი რა თქმა უნდა მომწონს, თუმცა ერთი მაინტერესებს, ვისაც უკვე ჰყავს სამი მცირეწლოვანი და მარტყოფელა (ჩემი ნონა მყავს მხედველობაში), მათაც

ლი ნამდვილად არის. მთავარი ისაა, რომ დაიწყო პრობლემის მოგვარება, მერე სხვა გზაც გამოჩნდება ალბათ. პირადად მე მესამე სვილი მაშინ გამიჩნდა, როცა არც მე და არც ჩემი მეუღლე არ ვმუშაობდით. ასე, რომ ვისაც მრავალწლიანი სურვილი აქვს და ბავშვების დიდი სიყვარული ხელმოკლეობა ხელს ნამდვილად არ შეუძლია.


პრაქტიკულად დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფო მანქანა უკვე ჩართულია, ახლა ჯერი თქვენზეა ქართველი დედები, ქართველი ამაზე დიდი სიდუხჭირცი უნახავს და საქართველოს ისტორიის ამაზე მეტად რთულ პერიოდშიც გადაფარება შვილის აკვანს და ასე, სიმტკიცით გამოუზრდია შვილები, რითაც ჩვენი ერი დალუგვას გადაურჩენია, სწორედ ქართველ ქალებს მიუძღვით დიდი როლი, რომ ჩვენი სისხლი და ჯილაგი, ჩვენი ქართველობა დღევანდლამდე მოიტანეს მხრებით. არაფერია იმაზე უფრო დიდი პატივი, როცა, როგორც ქალს, როგორც დედას, შენი წვლილი შეგაქვს ერის გამრავლების გზით გაძლიერების საკითხში. სახელმწიფომ თავისი ნაბიჯი გადასდგა, ვფიქრობ ახლა ჯერი თქვენზეა დედებო!

ლალი მხრიაშვილი





# დაისვენეთ



## ტესტი

ამოირჩიეთ 9 ნახატიდან ერთ-ერთი და წაიკითხეთ თქვენი მოკლე დახასიათება:

- 1 - თქვენ უზომოდ ცნობისმოყვარე და ინტუიციური ადამიანი ხართ. თქვენი ინტერესის სფეროში შედის ყველაფერი, დანაწილები მეზობლის ლეკვით, დამთავრებული გლობალური დათბობის საკითხებით.
- 2 - თქვენ კარგი მონაცემები გაქვთ საიმისოდ, რომ იყოთ ფინანსურად წარმატებული, თუმცა ხანდახან რეალობის შეგრძნებას კარგავთ და უტოპიურ პროექტებზე ხარჯავთ დროს.
- 3 - თქვენი საყვარელი პოზა გარემოს ექვემდებარება მზერით თვალიერება და ყველა დეტალის გულდასმით შესწავლა. საკუთარი სიმპათიისა და ანტიპათიის მკვეთრად გამოხატვა გჩვევიათ.
- 4 - თქვენ გმართავენ ძლიერი ემოციები და გრძნობები, რომლებიც არ გაძლევენ ჯანსაღი აზროვნებისა და ფიზიკური, ადეკვატური გაანგარიშების საშუალებას.
- 5 - თქვენ რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ მუდმივი კონფლიქტი გაქვთ საკუთარ თავთან. გიჭირთ გადწყვეტილების მიღება.
- 6 - თქვენ განონანსორებული და მშვიდი ადამიანი ხართ, გიყვართ და უყვარხართ საზოგადოებას. ცდილობთ, არავის აწყენინოთ და უმიზეზოდ არავის ეჩრით.
- 7 - ხართ კომუნიკაბელური, გაქვთ ძლიერი ჯანმრთელობა და მტკიცე ხასიათი. გიყვართ მშვიდობიანი გარემო, აღმერთებთ ბუნებას და სეირნობას.
- 8 - ორგანიზებული, ძველი, მშვიდი და კარგი ადამიანი ხართ. გიყვართ პუნქტუალურობა და აკურატულობა. პატივს არ სცემთ ფეთხემ ადამიანებს.
- 9 - დაუღალავად მიემართებით წარმატებისა და ლიდერობისკენ. ამავე დროს, ძალიან ეჭვიანი და რამდენადმე ამბიციურიც ხართ.

# საბავშვო ბაღებში ხელფასები გაიზარდა

1 მაისიდან დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის თანამშრომლები გაზრდილ ხელფასებს მიიღებენ. შესაბამისი ცვლილება დედოფლისწყაროს საკრებულომ უკვე განიხილა და დაამტკიცა. როგორც სააღმზრდელო ცენტრში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ცვლილებით 250-მდე თანამშრომელი ისარგებლებს. „ხელფასები დაახლოებით 30%-ით გაიზარდა, რომელიც ყველა პოზიციას შეეხო. საშუალო ხელფასი 200 ლარს მიუახლოვდა, რაც ვფიქრობთ ნორმალურია. აქამდე ძალიან დაბალი ანაზღაურება იყო.“ - აღნიშნავს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის უფროსი მანია ყოჩიაშვილი. „ადგილობრივი ბიუჯეტიდან საბავშვო ბაღებისთვის აქამდე 540 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, რომელიც ძირითადად ხელფასებზე, კომუნალურ ხარჯებსა და კვებაზე იყო განაწილებული. ცნობილია, რომ გასულ წელს ბაღებში სხვა კუთხით გაუმჯობესდა მდგომარეობა. გვინდა, რომ პირობების გაუმჯობესების შემდეგ ამჯერად იმ პერსონალის ანაზღაურება გავზარდოთ, რომელთაც გმირულად გაუძლევს საბავშვო ბაღებში კონტინენტის გასამშავებას და მიზეზული ანაზღაურებით სიყვარულით აგრძელებდნენ მუშაობას. ბიუჯეტში შესაბამისი სახსრები გამოვნახეთ და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება თითქმის გაორმაგდა. ამჯერად მათთვის 990 000 ლარია გათვალისწინებული. მთავარი



პრინციპი დაცული იყო, ხელფასების მატება განხორციელდა არა გვარების მიხედვით, არამედ, თანამდებობის გათვალისწინებით.“ - აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. სკოლამდელი აღზრდის ცენტრში აცხადებენ, რომ იმ საბავშვო ბაღებში, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, სასწავლო პროცესი, სავარაუდოდ, 15 მაისიდან აღდგება.

ილია მარტყოფლიშვილი

# „ნიკოლოშო“ და „იმედის“ საქველმოქმედო კონცერტი

ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში 2 მაისს ადგილობრივი ანსამბლის ინიციატივით, საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. მასში ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავეების გარდა ცნობილი მუსიკოსი გია ნიკოლაძე, იგივე „ნიკოლოშოც“ მონაწილეობდა. საღამოს საინფორმაციო მხარდაჭერას ტელერადიო კომპანია „ობიექტივი“ ახორციელებს. კონცერტი ქეთი შანშიაშვილს მიჰყავდა. ნიკოლოშო „თავდაპირველად არ ვიცოდი სად მოვდიოდი და ჰონორარიც შემომთავაზეს, თუმცა, ახლა უკვე ვიცი სად მოვხვდი და მთელი ჩემი ჰონორარი გადაირიცხება ქველმოქმედების მიზნით. დედით კახელი ვარ და ძალიან მიყვარს აქ სტუმრობა. ნებისმიერ დროს მზად ვარ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა მივიღო და სიკეთე ვთქვო.“ - აცხადებს „ნიკოლოშო“ ერთ-ერთი წევრი. როგორც ანსამბლის ქორეოგრაფმა ნინო კობაიძემ „შირაქს“ განუცხადა, ანსამბლი დედოფლისწყაროში საქველმოქმედო კონცერტებს ხშირად ატარებს, ამჯერად კი გადაწყვიტეს უნარშეზღუდულ ბავშვებს დაეხმარონ. „ამასწინათ, ელიას მთაზე კელიების მშენებლობის დასახმარებლად გავმართეთ საქველმოქმედო კონცერტი. თავის ვალდებულებად ვთვლით, რომ კიდევ ერთხელ ჩაგვეტარებინა ამგვარი საღამო და ვცდი-



ლობთ კეთილშობილური საქმე ვაკეთოთ. მიზეზულ ფასში გაიყიდა ბილეთები და შემოსული თანხა უნარშეზღუდულ მოზარდებს მოხმარდება.“ - აღნიშნავს ნინო კობაიძე. ნინა შემთხვევებისგან განსხვავებით, საქველმოქმედო კონცერტს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელთა არ დასწრებია.

ილია მარტყოფლიშვილი

**ულოცავენ!**  
**ჯიფი აღზრდილს!**  
ჩვენო ოთხმოცდახუთი წლის იუბილარო, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს საყვარელო ადამიანი, გილოცავთ დაბადების დღეს! ღმერთს ვთხოვთ შენს დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ჩვენდა საიმედოდ, უფალი შეგენიოს ჩვენო ძვირფასო მამა, პაპა და კარგო მეუღლე, ჩვენს საყვარელ ლალი ბებიასთან ერთად.

შვილები: ლია, ბიკა; შვილიშვილები: მამა, ირაკლი, ანა, დეა; შვილთაშვილები: ვატო, იონა, ლიკა, იონა, ნინუშა; მეუღლე ლალი.  
გილოცავთ დაბადებიდან 85 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს შენს მეუღლე ლალისთან ერთად. როგორც ახლა გრძნობ თავს ბედნიერად, ასეთივე ბედნიერი იყავი სიცოცხლის ბოლომდე შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

**იყიდება**  
იყიდება ორსართულიანი ბინა 650 კვ.მ. ფართის. მისამართი: ნურეთლის ქ. N20, ფასი 17000 ლოლარი.  
მსურველები დაგვიკავშირდით:  
☎ 597 05 18 88

**იყიდება**  
ორთაბანი, 45 კვ ბინა, სველი ნერტილებით, სამზარეულოთი, ცივი და ცხელი წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროგაყვანილობით უზრუნველყოფილი. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №71, კორპუსი 33.  
მსურველები დაგვიკავშირდით:  
☎ 577 388 237

**სამკურნალო გამაჯანსაღებელი მასაჟის კაბინები**  
გინვეთ გამაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩაიტაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიცელულიტური, ვაკუუმური, ნონის კორექციისა და გამაახალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვრეტა უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.  
ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ  
☎ ტელ: 593 13 40 56

**ამინდი**

ორშაბათი 05.05 დღე ღამე	სამშაბათი 06.05 დღე ღამე	ოთხშაბათი 07.05 დღე ღამე	ხუთშაბათი 08.05 დღე ღამე	პარასკევი 09.05 დღე ღამე	შაბათი 10.05 დღე ღამე	კვირა 11.05 დღე ღამე
17° 16°	21° 18°	20° 19°	22° 21°	22° 21°	24° 22°	23° 20°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწერელი); მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფრონისძის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.